საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში

01.01.2017-31.12.2017

თბილისი

ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა და საზოგადოების მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის მთავარი პრიორიტეტია.

მსოფლიოში უსაფრთხოების გარემოს სწრაფი ცვალებადობის, საერთაშორისო ტერორიზმისა და რადიკალიზაციის, უცხო ქვეყნების სადაზვერვო სამსახურების საქმიანობის გააქტიურებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების პარალელურად, იზრდება საერთაშორისო მოვლენების გავლენა ქვეყნის შიდა უსაფრთხოებაზე.

დღეისათვის ქვეყნის წინაშე მდგარი გამოწვევები უკავშირდება რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომდინარე საფრთხეებს, საერთაშორისო ტერორიზმს, უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების საქმიანობას, კორუფციასა და სამოხელეო დანაშაულს, მასობრივი განადგურების იარაღისა და მასალების შესაძლო გავრცელებას და ა.შ.

სამსახური მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალის, საშინაო და საგარეო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნებიდან გამომდინარე.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური საქმიანობისას ხელმძღვანელობს კანონიერების, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის, საქმიანობის ღია და ფარული ფორმების ერთობლიობის, თანაზომიერებისა და პოლიტიკური ნეიტრალობის პრინციპით.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობა მიმართულია შესაძლო საფრთხეების იდენტიფიცირებაზე, პრევენციასა და აღკვეთაზე, ასევე კომპეტენციის ფარგლებში, კანონით დადგენილი შესაბამისი ღონისძიებების გატარებაზე, რათა მაქსიმალურად იქნეს დაცული სახელმწიფოს ეროვნული ინტერესები და საქართველოს თითოეული მოქალაქის უსაფრთხოება.

საანგარიშო პერიოდში სამსახური დიდ ყურადღებას უთმობდა ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარებას, ოპერატიული და ანალიტიკური საქმიანობის გაუმჯობესებას, ადამიანური რესურსების ეფექტიან მართვას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოდერნიზებას, შიდაუწყებრივი და უწყებათაშორისი კოორდინაციისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას.

ოკუპირებული ტერიტორიები 4
კონტრდაზვერვითი საქმიანობა 8
ტერორიზმთან ბრძოლა 12
კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა 16
ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) უსაფრთხოება, მასობრივი განადგურების იარაღისა და მასალების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა 17
პერსონალურ მონაცემთა დაცვა, სამართლებრივი ბაზის დახვეწა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა 19
ადამიანური რესურსები და მატერიალურ–ტექნიკური ბაზა 21
ანალიტიკური საქმიანობა 23
უწყებათაშორისი და საერთაშორისო თანამშრომლობა 24

ოკუპირებული ტერიტორიები

საქართველოს სახელმწიფოსთვის მთავარ საფრთხეს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და ოკუპირებულ რეგიონებში რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების არსებობა წარმოადგენს. რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის არაფორმალური ანექსიის მიმდინარე პროცესი, მზარდი მილიტარიზაცია, ოკუპირებული ტერიტორიების მიზანმიმართული იზოლაცია, უკანონო დაკავებები და ქართული მოსახლეობის ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის მთავარ გამოწვევად რჩება.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი მძიმე ვითარება კიდევ ერთხელ წარმოაჩინა მიმდინარე წლის 22 თებერვალს რუსეთის მიერ ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში მომხდარმა ფაქტმა, რასაც **არჩილ ტატუნაშვილის** სიცოცხლის ხელყოფა და ჩვენი ქვეყნის ორი მოქალაქის უკანონო დაკავება მოჰყვა. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ყველა ბერკეტს, რათა დადგინდეს სიმართლე და **არჩილ ტატუნაშვილის** სიცოცხლის ხელყოფასთან დაკავშირებული ყველა პირი წარსდგეს მართლმსაჯულების წინაშე.

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე განვითარებული პროცესები ცხადყოფს, რომ რუსეთის ხელისუფლება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მიმართულებით არაოფიციალური ანექსიის პოლიტიკას ეტაპობრივად ახორციელებს. აღნიშნულის ნათელი მაგალითია რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან დადებული „მოკავშირეობის" ე.წ. შეთანხმებების პრაქტიკული განხორციელებისკენ გადადგმული ნაბიჯები. განსაკუთრებით ხაზგასასმელია 2017 წელს ოკუპირებულ აფხაზეთში რუსეთისა და დე ფაქტო შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობლივი „საინფორმაციო-საკოორდინაციო ცენტრის" შექმნა, ქ. სოხუმში 2017 წლის პირველ ნოემბერს რუსეთის ფედერალური საბაჟო სამსახურის დაქვემდებარებაში მყოფი ე.წ. სპეციალიზებული საბაჟო პუნქტის გახსნა და ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ე.წ. შეიარაღებული ძალების ცალკეული დანაყოფების რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს შემადგენლობაში გადასვლის ფაქტები. 2017 წლის 9 აპრილს ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში გამართული უკანონო „რეფერენდუმის" შედეგად კი, ცხინვალის რეგიონს სახელწოდება შეეცვალა და რუსეთის ფედერაციაში შემავალი ერთ-ერთი სუბიექტის („ჩრდილოეთ ოსეთი-ალანია") მსგავსად, „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა-სახელმწიფო ალანია" დაერქვა, რაც ცხინვალის რეგიონის რუსეთთან ინტეგრაციის პროცესის გაძლიერებას და საქართველოს სახელმწიფოებრივი სივრციდან მის სრულად მოწყვეტას ისახავს მიზნად.

ოკუპირებულ რეგიონებში შექმნილი ვითარება მიუთითებს, რომ რუსეთის ფედერაცია ინსტიტუციონალურ დონეზე სოხუმისა და ცხინვალის ე.წ. სუვერენიტეტს ეტაპობრივად აუქმებს. ნათლად გამოჩნდა, რომ ოკუპირებულ რეგიონებში, ოფიციალური მოსკოვის სტრატეგიულ მიზანს დე ფაქტო უწყებების სერვისებსა და ფუნქციებზე (ე.წ. საზღვრის დაცვა, „საბაჟო მომსახურება", „სამართალდამცავი უწყებების" ფუნქციონირება, ე.წ. თავდაცვის უწყების მუშაობა) სრული ეფექტური კონტროლის დამყარება წარმოადგენს.

ანექსიური პოლიტიკის ჭრილშია განსახილველი ოკუპირებული რეგიონების კვლავაც მაღალი ფინანსური დამოკიდებულება რუსეთის ფედერაციის ცენტრალურ ბიუჯეტზე. არსებული მონაცემებით, საანგარიშო პერიოდში, რუსეთის ფედერაციიდან მიღებული ფინანსური დახმარების წილმა დე ფაქტო აფხაზეთის ე.წ. სახელმწიფო ბიუჯეტში დაახლოებით 48 % (88 მილიონი აშშ დოლარი), ხოლო ცხინვალის რეგიონის „ბიუჯეტში" დაახლოებით 90 % (121 მილიონი აშშ დოლარი) შეადგინა.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი ვითარება ნოყიერ ნიადაგს ქმნის უკანონო ფინანსური ოპერაციების განხორციელებისთვის. ამ მხრივ, გამოსაყოფია ბოლო პერიოდში დე ფაქტო ცხინვალის რეგიონის ე.წ. ლიდერების გააქტიურება უკრაინაში, თვითგამოცხადებული ლუგანსკისა და დონეცკის სახალხო რესპუბლიკებთან თანამშრომლობის კუთხით. აღნიშნული მიმართულებით ნიშანდობლივია ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში რუსული საბანკო სექტორის წარმომადგენლობის ოპერირება, რომელიც არსებული ინფორმაციით, შესაძლებელია, ზემოხსენებულ უკანონო ფინანსურ ოპერაციებში აქტიურად იყოს ჩართული.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე დიდი ოდენობით მობილიზებული რუსული სამხედრო კონტინგენტი, ოკუპირებული რეგიონების მზარდი მილიტარიზაცია და ინტენსიური სამხედრო წვრთნები წარმოადგენს იმ მასშტაბის საფრთხეს, რომელიც აზიანებს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთლიანად სამხრეთ კავკასიის რეგიონის უსაფრთხოებას. 2017 წელს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკანონოდ დისლოცირებული რუსეთის სამხრეთ სამხედრო ოლქის მე-7 და მე-4 სამხედრო ბაზების ქვედანაყოფებმა 100-ზე მეტი სხვადასხვა ტიპის სამხედრო სწავლება ჩაატარეს.

საოკუპაციო ძალები და დე ფაქტო ხელისუფლებების წარმომადგენლები ღიად ახორციელებენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის მიზანმიმართულ დისკრიმინაციას, რაც თავისუფალი გადაადგილებისა და მშობლიურ ენაზე განათლების ხელმისაწვდომობის შეზღუდვაში, ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით დაკავებებსა და მათი გათავისუფლებისთვის დაკისრებული გაზრდილი ე.წ. ჯარიმების გადახდის იძულებაში გამოიხატება.

კვლავაც აქტუალურ პრობლემად რჩება საოკუპაციო ხაზების გასწვრივ რუსეთის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის წარმომადგენლების მიერ ე.წ. ბორდერიზაციის უკანონო პროცესის წარმოება. საანგარიშო პერიოდმა მკაფიოდ აჩვენა, რომ აღნიშნული პროცესი საოკუპაციო ძალების მიერ დე ფაქტო უწყებებთან კარგად არის კოორდინირებული და მიზნად ისახავს საქართველოს ხელისუფლების ე.წ. საზღვრების „დელიმიტაციის" და „დემარკაციის" პროცესში „ჩათრევას".

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციით, 2017 წელს ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით 126, ხოლო ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით 52 უკანონო დაკავების ფაქტი იქნა რეგისტრირებული.[1]

2017 წელს კიდევ ორი დამატებითი ე. წ. საკონტროლო-გამშვები პუნქტის („ხურჩა-ნაბაკევი" და „ორსანტია-ოტობაია") დახურვა[2] მიზნად ისახავდა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ოკუპირებული გალის რაიონიდან ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების და ადგილობრივ საზოგადოებებს შორის ინტერაქციის შეზღუდვას.

ადამიანის ფუნდამენტური უფლებების უხეშ დარღვევას და დისკრიმინაციული პოლიტიკის გაგრძელებას წარმოადგენდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ეთნიკური ქართველებისთვის „ბინადრობის უფლების" მინიჭების საკითხზე დაწესებული შეზღუდვები, ოკუპირებული გალის რაიონისა და ცხინვალის რეგიონის ქართულ სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლების ნაწილობრივ აკრძალვა და 2017 წელს ცხინვალის რეგიონში (სოფლები: ერედვი, ბერულა, არგვიცი და ფრისი) დევნილი ქართველების კუთვნილი საცხოვრებელი სახლების მიზანმიმართული ნგრევა.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ოკუპირებულ აფხაზეთში არსებული მძიმე კრიმინოგენური ვითარება და ადგილზე საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების არარსებობა.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომდინარე საფრთხეების იდენტიფიცირების, მათი მაქსიმალური განეიტრალების და რუსეთის ფედერაციის მხრიდან ანექსიის პროცესებისთვის ხელშეშლის მიზნით, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მუდმივად ახდენდა ადგილზე არსებული ვითარების მონიტორინგს,

---

[1] ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით ცენტრალური ხელისუფლების მიერ რეგისტრირებული ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით დაკავებული პირების რაოდენობაში ცდომილება დაახლოებით 5%-ის ფარგლებში მერყეობს, ხოლო ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონის მიმართულებით ცენტრალური ხელისუფლების მიერ იდენტიფიცირებული უკანონო დაკავებების რაოდენობა რეალური ჯამური რიცხვის დაახლოებით 10-15%-ს შეადგენს.

[2] 2016 წლის აპრილში საოკუპაციო ხაზზე არსებული ექვსი ე.წ. საკონტროლო-გამშვები პუნქტიდან ორი - „მუჟავა-ლეკუხონა" და „შამგონა-თაგილონის" ე.წ. პუნქტები გაუქმდა.

აქტიურად თანამშრომლობდა და მუდმივად აწვდიდა ინფორმაციას საქართველოს სახელმწიფო უწყებებსა და საერთაშორისო პარტნიორებს.

უსაფრთხოების სამსახური, საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოების და ადამიანის უფლებების მაქსიმალური დაცვის მიზნით, მის ხელთ არსებული ყველა მექანიზმის გამოყენებით, სხვა პასუხისმგებელ უწყებებთან ერთად, ახორციელებდა ადგილზე უსაფრთხოების ღონისძიებების კოორდინაციას.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურადაა ჩართული ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების ფორმატში (2017 წელს გაიმართა დისკუსიების ოთხი რაუნდი - 39-ე, მე-40, 41-ე და 42-ე.). I სამუშაო ჯგუფში, სადაც უსაფრთხოების საკითხები განიხილება, სამსახურის სპეციალური წარმომადგენელი აკეთებს მოხსენებას ოკუპირებულ რეგიონებში და საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ უსაფრთხოების კუთხით არსებული გამოწვევების შესახებ, რათა ადგილზე არსებული ვითარება ობიექტურად იქნას მიწოდებული საერთაშორისო მედიატორების, თანათავმჯდომარეებისა და სხვა მონაწილეებისთვის.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან არის წამყვანი უწყება ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) ფორმატის შეხვედრებში, სადაც ის აქტიურად წარადგენს და განიხილავს იმ საკითხებს და ინციდენტებს, რომლებიც ოკუპირებულ რეგიონებთან მიმართებაში აქტიური და პრობლემურია, მათ შორის, დაკავებებს ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით, „ბორდერიზაციის პროცესს", თავისუფალ გადაადგილებაზე დაწესებულ შეზღუდვებს, უკანონო სამხედრო წვრთნებს და ა.შ.

საანგარიშო პერიოდში გალში IPRM-ის 10, ხოლო ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით (სოფელ ერგნეთში) 11 შეხვედრა გაიმართა. აღნიშნულ შეხვედრებზე მუდმივად განიხილებოდა სასტიკად მოკლული **გიგა ოთხოზორიასა** და ცხინვალის რეგიონში გაურკვეველ ვითარებაში დაღუპული **დავით ბაშარულის** საქმეები.

2017 წელს, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) ფარგლებში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის აქტიური ჩართულობისა და მუდმივი მოლაპარაკებების შედეგად, გათავისუფლდნენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკანონო პატიმრობაში მყოფი გიორგი გიუნაშვილი და გიორგი ლუკავა, რომელთაც 20 წლიანი „პატიმრობა" ჰქონდათ „მისჯილი".

საანგარიშო პერიოდში ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების და IPRM-ის ფორმატის ფარგლებში შექმნილი ე.წ. „ცხელი ხაზი" კვლავაც რჩება მომხდარი, ან პოტენციური ინციდენტების დარეგულირების და თავიდან აცილების 24-საათიანი კავშირის საშუალებად. 2017 წელს ჯამში „ცხელი ხაზი" 1645-ჯერ იქნა გააქტიურებული.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან (EUMM) თანამშრომლობას, რომელიც საქართველოში მოქმედი ერთადერთი საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიაა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას არ ეძლევა მანდატით განსაზღვრული უფლება, ოკუპირებულ რეგიონებში განახორციელოს მონიტორინგი, ის (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უსაფრთხოების სამსახურის შესაბამის დანაყოფებთან ერთად) მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებაში კვლავაც ერთ-ერთ წამყვან როლს ასრულებს.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური კონფლიქტის დარეგულირების პროცესში, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (UN) და ევროპის უსაფრთხოების და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE), ევროპის საბჭოს (CoE) წარმომადგენლობებთან თანამშრომლობას. უსაფრთხოების სამსახური თანამშრომლობს ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან (ICC), რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის დანაშაულებს იძიებს.

უსაფრთხოების სამსახური ჩართულია წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის (ICRC) ეგიდით ორგანიზებულ ე.წ. სამმხრივი შეხვედრების ფორმატში, რომელიც 90-იანი წლების კონფლიქტებისა და 2008 წლის აგვისტოს ომის დროს უგზო-უკვლოდ დაკარგულ და დაღუპულ პირთა მოძიებას ითვალისწინებს.

საანგარიშო პერიოდში საერთაშორისო თანამეგობრობის ინფორმირების მიზნით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, მისი მანდატის ფარგლებში, ოკუპირებულ ტერიტორიებზე და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ არსებულ ვითარებას აცნობდა პარტნიორი ქვეყნების უმაღლეს თანამდებობის პირებს, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებს. 2017 წელს სამსახურმა საოკუპაციო ხაზზე სხვადასხვა მაღალი რანგის ოფიციალური პირებისა და მედიის წარმომადგენელთა 45 ვიზიტს გაუწია ორგანიზება.

კონტრდაზვერვითი საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური კონტრდაზვერვით საქმიანობას წარმართავდა კანონით გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში და ახორციელებდა უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების დაინტერესების სფეროების გამოვლენას, კონტრზომების გატარებას, არსებული საფრთხეების შესახებ შესაბამისი უწყებებისა და პირების წინმსწრებ ინფორმირებას, სახელმწიფო საიდუმლოებისა და

სახელმწიფო უსაფრთხოების რეჟიმის დაცვას, ასევე საქართველოს შეიარაღებული ძალების კონტრდაზვერვით უზრუნველყოფას.

უცხო ქვეყნის სადაზვერვო სამსახურები სხვადასხვა საქმიანობის საფარქვეშ (დიპლომატიური, კულტურული, ჰუმანიტარული, რელიგიური, კომერციული და სხვა), მუდმივად ცდილობენ, შეაღწიონ ხელისუფლების ორგანოებსა და ქვეყნის უსაფრთხოების სტრუქტურებში, მოიპოვონ მათთვის სასურველი/საიდუმლო ინფორმაცია, შექმნან/გააფართოონ ჯაშუშური ქსელი. მათი მიზანია, გავლენა იქონიონ ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ, სამხედრო და ეკონომიკურ პროცესებზე.

გამოწვევების საპასუხოდ გასული წლის განმავლობაში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ახორციელებდა საქართველოში მოქმედი უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების სადაზვერვო საქმიანობის, გეგმების, მათ მიერ გამოყენებული ძალებისა და საშუალებების, მოქმედების ფორმებისა და მეთოდების, კავშირზე მყოფი პირებისა და მათი კონტაქტების, ასევე სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ქმედებების გამოვლენასა და აღკვეთას.

კონტრდაზვერვითი საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოში უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების ძირითადი ამოცანებია: ქართულ საზოგადოებაში ანტიდასავლური განწყობების გაღვივება; საერთაშორისო დონეზე საქართველოს, როგორც საიმედო პარტნიორის იმიჯის შელახვა; საზოგადოებაში უნდობლობის, გაურკვევლობის, უიმედობისა და ნიჰილიზმის გაჩენა; ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე დესტაბილიზაციის კერების შექმნა, რათა ქვეყანაში განვითარდეს დეზინტეგრაციული პროცესები და მოხდეს ქართული საზოგადოების პოლარიზაცია.

საკუთარი ამოცანების შესასრულებლად, სხვადასხვა ქვეყნების სპეცსამსახურები კვლავ აქტიურად იყენებენ „ჰიბრიდული ომის" ტაქტიკას, რომლის საშუალებითაც პროპაგანდისტული მედიაკამპანიისა და დეზინფორმაციის კომპონენტების, კიბეროპერაციებისა და ცალკეული კიბერშეტევების, დესტრუქციული პოლიტიკური ჯგუფებისა და საზოგადოებრივ–პოპულისტური გაერთიანებების გამოყენებით, სასურველი შედეგის მიღებას ცდილობენ.

„ჰიბრიდული ომის" პირობებში სასურველი მიზნის მისაღწევად უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები ენერგეტიკულ და ეკონომიკურ რესურსებს ზეგავლენის იარაღად იყენებენ, ახორციელებენ ორგანიზებული დანაშაულის, კორუფციისა და მიკერძოებული არასამთავრობო ორგანიზაციების ხელშეწყობას ფარული სპეციალური ღონისძიებების გზით.

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა უცხო ქვეყნების იმ სპეცსამსახურების სადაზვერვო საქმიანობას, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი

საქართველოს წინააღმდეგ „ჰიბრიდული ომის“ წარმოებაში. მათ მიერ შემუშავებული ტაქტიკა გამოირჩევა მრავალფეროვნებით და მიმართულია ქვეყანაში ეროვნული ინტერესების, დემოკრატიული ღირებულებების, ინსტიტუტებისა და კანონის უზენაესობის წინააღმდეგ.

გატარებული კონტრდაზვერვითი ღონისძიებების შედეგად გამოიკვეთა საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების მცდელობები, ქვეყანაში გააძლიერონ და გააფართოონ პოლიტიკური გავლენის ინფრასტრუქტურა, ე.წ. ლობისტური ჯგუფები, პოლიტიკური გაერთიანებები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ფონდები, მოახდინონ ეკონომიკური და ენერგეტიკული ბერკეტებით მანიპულირება.

საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებისა და დეზინფორმაციის გავრცელებისთვის უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების მხრიდან შეიმჩნევა ექსპერტული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებისა და სააგენტოების შექმნის მცდელობა, სადაც ხდება კონკრეტული თემების დამუშავება და საზოგადოებისთვის საკუთარი ინტერესების შესაბამისად მიწოდება.

საანგარიშო პერიოდში კომპლექსურად ტარდებოდა კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ საქმიანობაში ჩართული ძალებისა და მათი დაფინანსების წყაროების გამოსავლენად. ასევე, იმ პირთა დასადგენად, რომელთა ქმედებებშიც გამოიკვეთა უცხო ქვეყნების სადაზვერვო სამსახურებთან შესაძლო კავშირის ნიშნები.

საქართველოსა და უცხო ქვეყნებში იდენტიფიცირებულნი არიან პირები, რომლებიც ქვეყნის უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის იდეის პროპაგანდას ეწევიან. მათი მხრიდან მომდინარე საფრთხეების განეიტრალების მიზნით, გატარდა შესაბამისი ღონისძიებები.

უცხო ქვეყნების სპეცსამსახურები განსაკუთრებულ ძალისხმევას იჩენენ სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის მოსაპოვებლად. სადაზვერვო სამსახურები მათ ხელთ არსებული საშუალებების გამოყენებით ცდილობენ, შეიქმნან ინფორმაციის მოპოვების არხები სახელმწიფო სტრუქტურებში, კომერციულ, სამეცნიერო, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებში.

სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის მიზნით აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა უცხო ქვეყნების სადაზვერვო სამსახურების ოპერატიული და ტექნიკური შეღწევის აღკვეთა-გამოვლენის მიმართულებით, საფრთხეებისა და ინფორმაციის გაჟონვის პრევენციაზე, უსაფრთხოების ზომებისა და პერსონალის ცნობიერების ამაღლებაზე.

ზემოაღნიშნული მიმართულებით 182 ორგანიზაცია-დაწესებულებაზე გაიცა სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვება (ნებართვა ფორმა №4), ხოლო 10 ორგანიზაცია-

დაწესებულებას, გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებების, სანდოობისა და საიმედოობის დაბალი ხარისხის გათვალისწინებით, ნებართვის მიღებაზე უარი ეთქვა.

184 ორგანიზაციაში განხორციელდა სახელმწიფო საიდუმლოებასთან სახელმწიფო ორგანოს/იურიდიული პირის დაშვების მისაღებად საიდუმლოების დაცვის რეჟიმისა და საიდუმლო საქმისწარმოების კომისიური შემოწმება.

სახელმწიფო საიდუმლოებასთან ინდივიდუალური დაშვების მსურველ 7 ათასამდე ფიზიკურ პირზე განხორციელდა შემოწმების პროცედურა. 900-მდე პირზე განისაზღვრა ნატო-ს კლასიფიცირებულ ინფორმაციასთან დაშვების მიზანშეწონილობის საკითხი; 500-ზე მეტ პირს სხვადასხვა ორგანიზაცია-დაწესებულებიდან გაეწია მეთოდურ-ორგანიზაციული დახმარება საიდუმლო საქმისწარმოებისა და საიდუმლოების რეჟიმის დაცვის კუთხით.

საანგარიშო პერიოდში კონტრდაზვერვის დეპარტამენტში გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 11 საქმეზე. ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემულია 5 პირი.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქვეყნის უსაფრთხოებისათვის მაღალი რისკის მქონე ობიექტების დაცვასა და შეუფერხებელ ფუნქციონირებას. კონტრდაზვერვითი უზრუნველყოფის პროცესში, „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, დამტკიცებულ სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის მაღალი რისკის მქონე ცალკეულ სუბიექტებზე ჩატარდა სრულყოფილი შესწავლა–შემოწმება.

საფრთხეების გათვალისწინებით, ხორციელდება საქართველოში მოქმედი იმ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ცალკეული ორგანიზაციების ოპერატიული კონტროლი, რომელთა საქმიანობის სფეროს საიდუმლო პროექტებზე მუშაობა, სამრეწველო და სამხედრო დანიშნულების ნივთიერებების წარმოება, შეძენა, შენახვა, რეალიზაცია, გამოყენება, გადაზიდვა და იმპორტ-ექსპორტი წარმოადგენს.

ქვეყანაში გაზრდილი მიგრაციული ნაკადების ფონზე მუდმივად მიმდინარეობს მიგრაციული არხების მონიტორინგი. გამოიკვეთა საქართველოში სხვადასხვა სტატუსით დაფუძნების მსურველი უცხო ქვეყნების წარმომადგენლების რაოდენობის ზრდის ტენდენცია. ისინი, თანამემამულეების ან საქართველოს მოქალაქეების დახმარებით, ახერხებენ შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას და ინვესტიციების განხორციელების საბაბით ითხოვენ მუდმივი საინვესტიციო ბინადრობისა და შრომითი ცხოვრების უფლებებს, ხოლო საქართველოს მოქალაქეებთან ქორწინების საფუძველზე - მუდმივი ცხოვრების ნებართვას.

მიგრაციული პროცესების მონიტორინგისას, ასევე გამოვლინდა სტუდენტის სტატუსით უცხო ქვეყნის მოქალაქეების რაოდენობის ზრდა, რომელთა ნაწილი ცდილობს საქართველოში დამკვიდრებას.

საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა საქართველოს 36 მოქალაქე, მათ მიერ დარეგისტრირებული კომპანიები და აუდიტორული ფირმები, რომლებიც უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე საქართველოში ცხოვრების ნებართვების გაცემის მიზნით ამზადებენ სარეკომენდაციო წერილებს, ორგანიზებას უწევენ შესაძლო ფიქტიურ ქორწინებებს, არეგისტრირებენ კომპანიებს, გასცემენ ფიქტიურ შრომით ხელშეკრულებებს.

ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა უცხო ქვეყნის მოქალაქეების ხელშემწყობი პირების კავშირების დადგენისა და მათ საქმიანობაში შესაძლო კანონდარღვევის ფაქტების გამოვლენის მიზნით.

აქტიურად მიმდინარეობდა კონტრდაზვერვითი ღონისძიებები საქართველოში დროებით ან მუდმივად მცხოვრები, მუდმივი ბინადრობის ან ორმაგი მოქალაქეობის მქონე იმ პირების შესწავლის მიმართულებით, რომლებსაც შესაძლოა კავშირი გააჩნდეთ უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებთან.

შესაბამისი მასალების შესწავლისა და გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად გამოიკვეთა გარკვეული კატეგორია, რომელსაც უარი ეთქვა საქართველოში ბინადრობის მინიჭებაზე. გამოვლინდა 3500-ზე მეტი პირის მიერ ფიქტიური დოკუმენტაციის წარმოდგენის ფაქტი.

უსაფრთხოების სამსახური 24-საათიან რეჟიმში ახორციელებდა ქ.თბილისის, ქ.ქუთაისისა და ქ.ბათუმის საერთაშორისო აეროპორტების სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების გადაადგილების მონიტორინგს, მათ შორის, შესაძლო ოპერატიულად საყურადღებო პირთა და მათი კონტაქტების გამოსავლენად.

ტერორიზმთან ბრძოლა

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. საანგარიშო პერიოდში სამსახური აქტიურად მუშაობდა საერთაშორისო ტერორიზმის მუდმივად ცვალებადი საფრთხეების გამოვლენასა და მათზე რეაგირების გზების გაუმჯობესებაზე. 2017 წლის განმავლობაში ჩვენს რეგიონში და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში არსებული ტერორისტული საფრთხეები არ შემცირებულა. ამავე პერიოდში დაფიქსირდა საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციის წევრებისა და მათი მხარდამჭერების აქტივობები საქართველოშიც.

2017 წელს ტერორისტულმა ორგანიზაცია „ისლამურმა სახელმწიფომ“ შეცვალა მოქმედების სტრატეგია, რამაც თანამედროვე მსოფლიო ახალი გამოწვევების წინაშე

დააყენა. დღეისათვის „ისლამური სახელმწიფო“ ცივილიზებულ სამყაროს რამდენიმე მიმართულებით უქმნის საფრთხეს. სირია-ერაყში მყოფი „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლები, შესაძლოა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანებში, მათ შორის, დასავლეთის ქვეყნებში დაბრუნდნენ და ადგილზე ტერორისტული ქსელი ჩამოაყალიბონ. ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტების იდეოლოგიური მსგავსებისა და მათი გეოგრაფიული სიახლოვიდან გამომდინარე, ტერორისტული ორგანიზაციის მებრძოლებმა, შესაძლოა, სხვა კონფლიქტურ რეგიონებში გადაჯგუფება შეძლონ. „ისლამური სახელმწიფო“, სავარაუდოდ, გააძლიერებს იდეოლოგიურ მუშაობას და თანამედროვე ტექნოლოგიების, მათ შორის, სოციალური მედიის გამოყენებით მეტი ადამიანის რადიკალიზაციასა და გადაბირებას შეეცდება. გასული წლებისგან განსხვავებით, როდესაც ტერორისტული ორგანიზაცია ძირითადად ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებების განხორციელებით იყო დაკავებული, 2017 წლის ტენდენციამ გვიჩვენა, რომ ტერორისტული აქტების განხორციელება „ისლამური სახელმწიფოს“ მოქმედების მთავარ იარაღად იქცა.

„ისლამური სახელმწიფოსგან“ განსხვავებით, საანგარიშო პერიოდში, მნიშვნელოვანი დანაკარგები არ განუცდია „ალ-ქაიდას“ და „თალიბანს“. გასული წლის განმავლობაში სირიის ტერიტორიაზე მოქმედი „ალ-ქაიდას“ დაჯგუფება დასუსტებული „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლების გადაბირების ხარჯზე ცდილობდა გაძლიერებას. ავღანეთსა და პაკისტანში ერთმანეთს აქტიურად დაუპირისპირდნენ „ისლამური სახელმწიფოს“ ადგილობრივი დაჯგუფებები და „თალიბანი“. ეს უკანასკნელი ტერორისტული აქტივობებით გამოირჩეოდა და რამდენიმე თავდასხმა განახორციელა საერთაშორისო სამხედრო მისიებზე.

2017 წელს საქართველო რამდენიმე მნიშვნელოვანი, ზოგ შემთხვევაში კი კრიტიკული გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა, ადგილი ჰქონდა ტერორიზმის დაფინანსების მცდელობის, ექსტრემისტული და ტერორისტული იდეების მხარდაჭერისა და საქართველოს ცალკეული მოქალაქეების რადიკალიზაციის ფაქტებს.

გლობალური ტენდენციის მსგავსად, საქართველოში ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ მხარდამჭერთა რაოდენობა და მათი გავლენები მნიშვნელოვნად შემცირდა. ახალგაზრდები უარს აცხადებენ აღნიშნული ორგანიზაციის იდეების მხარდამჭერ გაერთიანებებში გაწევრიანებაზე, ხოლო ორგანიზაციის მხარდამჭერი ავტორიტეტული ლიდერები მათ რიგებს ტოვებენ. იდეოლოგიური კრიზისის გარდა, „ისლამურ სახელმწიფოს“ სირთულეებს უქმნის ფინანსური პრობლემებიც, რაც ტერორისტული ორგანიზაციის წევრებისთვის გადაადგილების თავისუფლებასა და თანხების მოზიდვაზე დაწესებული მნიშვნელოვანი შეზღუდვებით არის განპირობებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ისლამურ სახელმწიფოს“, სხვა

ქვეყნების მსგავსად, შესაძლოა, საქართველოში ჰყავდეს ცალკეული მხარდამჭერები, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, იმოქმედებენ ტერორისტული ორგანიზაციის მხრიდან მიღებული დავალების შესაბამისად.

2017 წლის 21-22 ნოემბერს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა საერთაშორისო ტერორისტის, აჰმედ ჩატაევისა და მისი კარგად ორგანიზებული, ტერორისტული დაჯგუფების წინააღმდეგ სპეცოპერაცია ჩაატარა. არსებული ინფორმაციით, დაჯგუფების მიზანს წარმოადგენდა საქართველოში ტერორისტული თავდასხმების მოწყობა. სამსახურის მიერ გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად შესაძლებელი გახდა ჯგუფის აღმოჩენა და მათ წინააღმდეგ შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარება. აჰმედ ჩატაევისა და მისი ე.წ. დაცვის წევრებთან გამართული შეტაკებისას დაიღუპა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი ივანე გოლაშვილი, დაიჭრა 4 სამართალდამცველი. თავიდან იქნა აცილებული მსხვერპლი მშვიდობიან მოქალაქეებს შორის.

მოგვიანებით გამოვლენილ იქნენ ჩატაევის ტერორისტულ ჯგუფთან კავშირზე მყოფი სხვა პირებიც. 2017 წლის 26 დეკემბერს თბილისსა და ახმეტის რაიონში, აღნიშნული პირების დაკავების მიზნით, ჩატარდა სპეცოპერაცია. დაკავებულ იქნა 5 პირი. ერთ-ერთი მათგანი მოგვიანებით, სპეცოპერაციის დროს მიყენებული ჭრილობის შედეგად გარდაიცვალა.

საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ საერთაშორისო ტერორისტებისა და მათი ადგილობრივი მხარდამჭერების მიერ ორგანიზებული ტერორისტული თავდასხმების მოსამზადებელ ეტაპზე გამოვლენა და აღკვეთა მნიშვნელოვან სირთულეებთან არის დაკავშირებული.

ქვეყნისთვის საფრთხეს წარმოადგენენ ტერორისტული ორგანიზაციების შესაძლო მხარდამჭერი უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან. ძირითად შემთხვევაში, აღნიშნულ პირებს საქართველოსა და ქართულ საზოგადოებასთან, ისტორიული, ეთნიკური, რელიგიური და კულტურული კავშირები არ აქვთ, რაც ტერორისტულ ორგანიზაციებს ექსტრემისტულ საქმიანობაში მათ ჩართვას უადვილებს.

საანგარიშო პერიოდში გამოვლენილ იქნა საქართველოში მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტთა ჯგუფი, რომლებიც სოციალური ქსელების მეშვეობით აქტიურად ავრცელებდნენ რადიკალურ მოწოდებებს. აღნიშნულ პირთა ჯგუფის მიმართ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გატარებულ იქნა კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

ამჟამად სირიისა და ერაყის ტერიტორიაზე სხვადასხვა ტერორისტული ორგანიზაციების რიგებში საქართველოს დაახლოებით 30 მოქალაქე იბრძვის. 2017 წლის

განმავლობაში აღნიშნული პირების საქართველოში დაბრუნების ფაქტები არ დაფიქსირებულა. სამსახური განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ტერორისტული ორგანიზაციების რიგებში მებრძოლი საქართველოს მოქალაქეების ქვეყანაში შესაძლო დაბრუნებას და მსგავსი ფაქტის დაფიქსირების შემთხვევაში იმოქმედებს კანონის შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდში აქტიური ღონისძიებები გატარდა ტერორიზმისა და ექსტრემიზმის დაფინანსების ფაქტების დასადგენად. დაფიქსირდა ტერორიზმთან დაკავშირებული რამდენიმე ფიზიკური პირი, რომლებიც საქართველოში სხვადასხვა საბანკო ოპერაციების განხორციელებას ცდილობდნენ.

კონტრტერორისტული მიმართულებით საქართველოსთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომავალი საფრთხეები. ოკუპირებულ ცხინვალსა და სოხუმში შექმნილი, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისათვის უკონტროლო ვითარება რუსეთის ფედერაციის სპეცსამსახურებს საშუალებას აძლევს საკუთარი ოპერატიული, სამხედრო თუ პოლიტიკური მიზნების შესაბამისად განახორციელონ სხვადასხვა ტერორისტული აქტივობების ინიცირება/ინსცენირება.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტულმა ცენტრმა გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 6 საქმეზე. გატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის შედეგად, დადგენილ იქნა ტერორიზმთან შესაძლო კავშირის მქონე რამდენიმე ათასი პირი, რომლებმაც, შესაძლოა, საქართველოს ტერიტორიის ტრანზიტულად გამოყენება სცადონ. აღნიშნული პირების მიმართ გატარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

კონტრტერორისტული შესაძლებლობების გაუმჯობესების კუთხით უსაფრთხოების სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა საერთაშორისო პარტნიორებთან. მიმდინარეობდა ოპერატიული და ანალიტიკური ინფორმაციის გაცვლა.

საანგარიშო პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა ტერორისტულ საფრთხეებზე რეაგირების შესაძლებლობების გაუმჯობესება, მაღალი რისკის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების უსაფრთხოების ზომების შეფასება, ასევე სახელმწიფო სტრატეგიული ობიექტების პასპორტიზაციისა და რისკების ანალიზის პროცესი. ტაქტიკური მოქმედებების, განაღმვითი სამუშაოების, მასობრივი განადგურების საშუალებების გამოვლენისა და გაუვნებელყოფის კუთხით განხორციელდა ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლი სპეციალური დანაყოფების მომზადება/გადამზადება.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინსტიტუტებში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა/პრევენცია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. საჯარო უწყებებში კორუფციის არსებობა აფერხებს სახელმწიფოს განვითარების პერსპექტივას, ხელს უწყობს მოქალაქეების მხრიდან სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ნდობის დაკარგვას, ხელს უშლის ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებასა და ეკონომიკურ წინსვლას.

ამასთან, კორუფციაში ჩართული საჯარო მოხელეები, შესაძლოა, სხვადასხვა დანაშაულებრივი დაჯგუფების ან/და უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების დაინტერესების ობიექტებს წარმოადგენდნენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სამოხელეო, კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, საჯარო სამსახურებში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის ნიშნების გამოვლენის და თავიდან აცილების ღონისძიებების გატარებას.

საანგარიშო პერიოდში სამსახურმა მოამზადა ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების 2017 წლის პირველი და მეორე ნახევრის ანგარიშები.

საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ განხორციელებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად დაკავებულია არაერთი საჯარო მოხელე. მათ შორის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი - გამოძალვით ქრთამის აღების ფაქტზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე, თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე - სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით თაღლითობაში დახმარების და წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით თაღლითობის ფაქტზე, ონის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი - ქრთამის აღების ფაქტზე.

ასევე, ქრთამის აღების ფაქტებზე დაკავებულ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საქართველო-აზერბაიჯანის საბაჟო-გამშვები პუნქტის უფროსი ინსპექტორი.

2017 წლის 7 მარტს, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით 50 000 ლარის ქრთამის აღების ფაქტზე დაკავებულ იქნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

2017 წლის 5 აპრილს, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე დაკავებულ იქნა სამგორის რაიონის გამგეობის მთავარი სპეციალისტი, რომელმაც ქრთამის სახით მოთხოვნილი 20 000 აშშ დოლარიდან, წინასწარ აიღო 7 500 აშშ დოლარი.

2017 წლის 1 დეკემბერს, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის მოთხოვნისა და აღების ფაქტზე, მხილებულ და დაკავებულ იქნა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი სპეციალისტი, რომელმაც ქრთამის სახით მოთხოვნილი 20 000 აშშ დოლარიდან, წინასწარ აიღო 10 000 აშშ დოლარი.

2017 წლის 22 დეკემბერს, ჯგუფურად კომერციული მოსყიდვის ფაქტზე დაკავებულ იქნენ საკალათბურთო კლუბის „სოხუმი" წარმომადგენლები და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯები, რომლებიც ორგანიზებას უწევდნენ ე.წ. ჩაწყობილ მატჩებს. საერთო ჯამში, ქრთამის სახით აღებულმა თანხამ 36 000 ლარი შეადგინა.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციულ სააგენტოში 2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 62 საქმეზე, მათ შორის, ქრთამის აღების - 37, ქრთამის მიცემის - 1, თაღლითობის - 6, კომერციული მოსყიდვის - 3, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების - 4, მითვისების ან გაფლანგვის - 2, სამსახურებრივი გულგრილობის - 1 და სხვა ცალკეულ დანაშაულებზე. საანგარიშო პერიოდში ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ იქნა 61 პირი სისხლის სამართლის 41 საქმეზე.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების, თანამედროვე გამოწვევებისა და მიდგომების გასაცნობად, ასევე, კორუფციის პრევენციისა და განეიტრალების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების მიზნით, სამსახური აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო პარტნიორებთან. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები ინტენსიურად მონაწილეობდნენ ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე ორგანიზებულ კონფერენციებში, ტრენინგებში, სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებში.

ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) უსაფრთხოება, მასობრივი განადგურების იარაღისა და მასალების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა

მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ფონზე და რიგი ქვეყნების მიერ მასობრივი განადგურების იარაღის შესაძლებლობების მოდერნიზებასთან ერთად, საერთაშორისო

თანამეგობრობისთვის სულ უფრო განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მჭიდრო თანამშრომლობას ბირთვული გაუვრცელებლობისა და ქბრბ უსაფრთხოების სფეროში.

ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) საფრთხეების პრევენცია და მათზე რეაგირება სახელმწიფო უსაფრთხოების მნიშვნელოვანი კომპონენტია. ქბრბ უსაფრთხოების სფეროში მიღწეული წარმატებების კუთხით საქართველო აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანაა.

საანგარიშო პერიოდში სამსახური, როგორც ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს ხელმძღვანელი უწყება, აქტიურად ახორციელებდა ქბრბ ეროვნული სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის ხელშეწყობას და შესაბამის კოორდინაციას, როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზე.

სამსახურის ორგანიზებით 2017 წლის 5 ივლისს ჩატარდა ქბრბ უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს მორიგი სხდომა, რომელზეც წევრმა უწყებებმა ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ერთი წლის ანგარიში წარადგინეს. ასევე, აქტუალური საკითხების გადაჭრის მიზნით, საანგარიშო წლის განმავლობაში გაიმართა საბჭოს სამუშაო ჯგუფების რამდენიმე შეხვედრა.

სამსახურის ინიციატივით 2017 წლის 3 ნოემბერს თბილისში გაიმართა დონორთა საკოორდინაციო შეხვედრა, სადაც საქართველოს შესაბამისმა სამსახურებმა უცხოელ პარტნიორებთან და დონორებთან ერთად ქბრბ უსაფრთხოების მიმართულებით ეროვნულ დონეზე არსებული გამოწვევები განიხილეს და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები დასახეს. საერთაშორისო პარტნიორებმა კიდევ ერთხელ აღნიშნეს საქართველოს მნიშვნელოვანი როლი საერთაშორისო ასპარეზზე და მისი წვლილი რეგიონში მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური წარმატებით აგრძელებს ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებებისა და მასალების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლას. აღნიშნული მიმართულებით ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ იქნა 4 პირი. ნივთმტკიცების სახით ამოღებულია რადიოაქტიური ნივთიერება ამერიციუმ 241-ის შემცველი, ქარხნული წესით დამზადებული კვამლის დეტექტორი.

სამსახური ასევე წარმატებით უზრუნველყოფდა სახელმწიფო საზღვარზე არსებული რადიაციული კონტროლის სისტემების ტექნიკურ და პროგრამულ ფუნქციონირებას. აღნიშნული სისტემების განვითარების კუთხით, 2017 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა განახორციელა „ეროვნული საკომუნიკაციო სისტემის“ განახლებული ვერსიის ექსპლუატაციაში გაშვება. აღნიშნულმა ხელი შეუწყო

ოპერაციული ზედამხედველობის, ტექნიკური მონიტორინგის და მონაცემთა დამუშავების უფრო ეფექტიან განხორციელებას.

საანგარიშო წლის განმავლობაში ქვეყნის მასშტაბით სამართალდამცავი თუ სხვა სტრუქტურების ქბრბ ინციდენტების და შემთხვევების პრევენციის, მათზე რეაგირებისა და მზადყოფნის შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით, ჩატარდა უწყებათშორისი ფართომასშტაბიანი წვრთნები, რომლის მიზანს შესაბამის დანაყოფებს შორის კოორდინაციის, ერთობლივი ოპერაციების და ინციდენტების მართვის ეფექტიანობის ამაღლება წარმოადგენდა.

საქართველო აქტიურად იყო ჩართული ისეთ საერთაშორისო პლატფორმებში, როგორიცაა „დიდი შვიდეულის მასობრივი განადგურების იარაღისა და მასალების გავრცელების წინააღმდეგ გლობალური პარტნიორობა" და „ბირთვულ ტერორიზმთან ბრძოლის გლობალური ინიციატივა". სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საექსპერტო გამოცდილების გაზიარების მიზნით 2018 წელს საქართველო უმასპინძლებს ბირთვული მასალების კონტრაბანდის აღკვეთის საკითხებზე ფართომასშტაბიან სწავლებას „Lionshield", რომელშიც აღმოსავლეთ ევროპის ათამდე ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას.

ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოების სფეროში სამსახური აქტიურად თანამშრომლობს აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის და ევროკავშირის წევრი ქვეყნების შესაბამის სტრუქტურებთან, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობასთან, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთან, გაეროს დანაშაულისა და მართლმსაჯულების კვლევის რეგიონთაშორის ინსტიტუტთან. ამასთანავე, სამსახური, ევროკავშირის „ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული რისკების შემცირების გამოცდილების გაზიარების ცენტრების ინიციატივის" მთავარი პარტნიორია საქართველოში.

პერსონალურ მონაცემთა დაცვა, სამართლებრივი ბაზის დახვეწა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში სამსახური განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის კომპონენტს. საანგარიშო პერიოდში, პიროვნების პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმების დახვეწისა და მეტი დაცულობის უზრუნველყოფის მიზნით, 2017 წლის 27 მარტს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მმართველობის სფეროში შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო.

სააგენტო სარგებლობს დამოუკიდებლობის სათანადო გარანტიებით და არ გააჩნია საგამოძიებო უფლებამოსილება. როგორც დამოუკიდებელი და პროფესიული ინტერესის არმქონე ორგანო, უზრუნველყოფს უფლებამოსილი საგამოძიებო, სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ფუნქციების მქონე ორგანოების მიერ შესაბამისი საკანონმდებლო პროცედურებით დადგენილი წესით მიმართვის საფუძველზე ფარული საგამოძიებო მოქმედებების და ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების განხორციელებას.

ახალი საკანონმდებლო რეგულაციებით, სააგენტოს საქმიანობაზე გათვალისწინებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის, საპარლამენტო, პრემიერ-მინისტრის, სასამართლო და საფინანსო-საბიუჯეტო კონტროლი. სააგენტო საქართველოს პრემიერ-მინისტრს და საქართველოს პარლამენტის ნდობის ჯგუფს ყოველწლიურად წარუდგენს მის მიერ გაწეული საქმიანობის სტატისტიკურ და განზოგადებულ ანგარიშს. ნდობის ჯგუფი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება სააგენტოს საქმიანობის შემოწმების თაობაზე და შეამოწმოს იგი წელიწადში არაუმეტეს ორჯერ. ნდობის ჯგუფი ასევე უფლებამოსილია, სააგენტოს წარუდგინოს რეკომენდაციები და სააგენტოს საქმიანობის შემოწმების პროცესში დანაშაულის ნიშნების გამოკვეთის შემთხვევაში, ვალდებულია მიმართოს საგამოძიებო ორგანოს. სააგენტომ 2017 წლის დეკემბერში პრემიერსა და ნდობის ჯგუფს საქმიანობის პირველი ანგარიში წარუდგინა.

საანგარიშო პერიოდში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ სამჯერ განხორციელდა სააგენტოს ინსპექტირება. ინსპექტირების ფარგლებში სააგენტოდან მოხდა შესაბამისი ინფორმაციის გამოთხოვა. ინსპექტორის აპარატის საინფორმაციო-ტექნოლოგიური დანაყოფის თანამშრომელთა მიერ შემოწმდა ტექნიკური აპარატურის ლოგირების მონაცემები, ხოლო სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ მიცემულ იქნა სათანადო ახსნა-განმარტებები.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს სამართლებრივი ბაზის სრულყოფას. სამსახურის სათანადო ფუნქციონირების მიზნით, 2017 წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა სამართლებრივი აქტების შემუშავებისა და დახვეწის პროცესი. საანგარიშო პერიოდში შემუშავდა და გამოიცა 220 ახალი სამართლებრივი აქტი. ასევე სამსახურმა საკუთარი პოზიცია დააფიქსირა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების მიერ მომზადებულ 253 სამართლებრივი აქტის პროექტზე.

აღსანიშნავია საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის აქტივობა საქართველოს საერთო სასამართლოებთან ურთიერთობის კუთხით. საანგარიშო პერიოდში, საერთო სასამართლოებს, შესაბამისი განჩინების საფუძველზე, სამსახურის მიერ შეუფერხებლად მიეწოდათ ამა თუ იმ საქმის განხილვისათვის საჭირო საიდუმლო

თუ არასაიდუმლო ინფორმაციები/მტკიცებულებები. 2017 წელს საერთო სასამართლოებში გაიგზავნა 500-მდე ინფორმაცია/მტკიცებულება, უსაფრთხოების სამსახურმა მონაწილეობა მიიღო სასამართლო დავის 26 საქმეში.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფდა საჯარო ინფორმაციის გაცემას. 2017 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე შემოვიდა 84 განცხადება, რომელთაგან დაკმაყოფილდა - 69, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - 3, შემდგომი რეაგირებისათვის გადაიგზავნა - 3 და არ დაკმაყოფილდა 9 განცხადება.

საანგარიშო პერიოდში რეაგირება განხორციელდა როგორც მოქალაქეების, ისე სხვადასხვა უწყების/ორგანიზაციის მხრიდან შემოსულ 416 განცხადებაზე. სისტემატურ რეჟიმში ხორციელდებოდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ცხელ ხაზზე („123“) შემოსულ ინფორმაციაზე სათანადო რეაგირება.

ადამიანური რესურსები და მატერიალურ–ტექნიკური ბაზა

მაღალი პროფესიონალიზმით გამორჩეული ადამიანური რესურსი და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სამსახურის საქმიანობის წარმატების საფუძველია. სწორედ ამიტომ, უსაფრთხოების სამსახური დიდ ყურადღებას უთმობს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას, სწორი და ეფექტური მენეჯმენტის საკითხებს. სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში საკუთარი წვლილი შეაქვთ სხვადასხვა აკადემიური განათლების მქონე კვალიფიციურ კადრებს, რომლებიც კეთილსინდისიერად და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით ასრულებენ მათზე დაკისრებულ პროფესიულ მოვალეობებს. ოპერატიული თანამშრომლები, ანალიტიკოსები, გამომძიებლები, ღია და ფარული შემადგენლობა, საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯერები ყოველდღიურად უდიდეს ძალისხმევას დებენ ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის გაწეულ საქმიანობაში.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის პრიორიტეტია საუკეთესო კადრების მოზიდვა, მათი მოტივირება და კარიერული წინსვლის ხელშეწყობა, ასევე სამსახური მაქსიმალურად ცდილობს პროფესიონალი კადრების შენარჩუნებას. დასაქმების თანაბარი შესაძლებლობა აქვთ კანდიდატებს მათი ეროვნების, ეთნიკური, რელიგიური თუ გენდერული კუთვნილების მიუხედავად. ამასთან, თანამშრომლები უზრუნველყოფილნი არიან სათანადო სამუშაო პირობებით და შესაბამისი სოციალური პაკეტით.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, უწყებაში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 3339 მოსამსახურეს, მათ შორის 423 ქალია (12,6%), ვადიანი სამხედრო მოსამსახურე – 419, ხოლო ხელშეკრულებით (შტატგარეშე) – 214.

საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა სამსახურის სისტემაში ეთიკის, დისციპლინური ნორმების დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისა და კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტები და განხორციელდა სათანადო რეაგირება. განხორციელდა 283 სამსახურებრივი შემოწმება და მომზადებული დასკვნების საფუძველზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეებს სხვადასხვა დისციპლინური გადაცდომისთვის დაეკისრათ 202 დისციპლინური სახდელი (მათ შორის, სამსახურიდან დათხოვნა - 8, თანამდებობიდან ჩამოქვეითება - 3, სასტიკი საყვედური - 13, საყვედური - 26, შენიშვნა - 14 და ა.შ.).

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მუდმივად ზრუნავს თანამშრომელთა პროფესიულ ზრდა–განვითარებაზე, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მათ გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე. დღეისათვის სამსახურში შექმნილია ყველა აუცილებელი პირობა იმისათვის, რომ მოსამსახურეებმა განავითარონ საკუთარი პროფესიული უნარ-ჩვევები და უფრო ეფექტიანად გაუმკლავდნენ ქვეყნის წინაშე მდგარ გამოწვევებს.

2017 წლის განმავლობაში მოსამსახურეთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები მუდმივად მონაწილეობდნენ სპეციალური მომზადების სხვადასხვა პროგრამებში/სწავლებებში. მათ შორის, ოპერატიულ თანამშრომელთა სპეციალური მომზადების, ცეცხლსასროლი იარაღისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების, ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომელთა გადამზადების და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში სამუშაოდ მისაღები და მიღებული წევვამდელების სპეციალური მომზადების პროგრამებში.

ასევე საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტის ტაქტიკური მომზადების ბაზაზე, 2017 წელს განხორციელდა მოსამსახურეთა ანტიტერორისტული და კონტრტერორისტული, ასევე სნაიპერთა მომზადების და გადამზადების სხვადასხვა პროგრამები.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეები აქტიურად არიან ჩართული პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერით ჩატარებულ სასწავლო კურსებში.

2017 წლის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სხვადასხვა დანაყოფის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს აშშ-ის საელჩოს სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის

საერთაშორისო ბიუროს (INL) პროგრამის ფარგლებში ორგანიზებულ პროფესიული შესაძლებლობის განვითარების ღონისძიებებში.

აშშ-ის სპეციალური ოპერაციების ევროპულმა სარდლობამ (SOCEUR), ერთობლივი სპეციალური ოპერაციების უნივერსიტეტთან (JSOU) ერთად, საქართველოში გამართა ორი მნიშვნელოვანი სასწავლო ღონისძიება, კერძოდ, ოპერატიული დაგეგმვის კურსი (2017 წლის ივლისი) და სპეციალური ოპერატიული ძალების ინტეგრაციის კურსი (2017 წლის სექტემბერი), რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა.

უსაფრთხოების სამსახურის წინაშე მდგარი ამოცანების ჯეროვანი შესრულებისთვის, მაღალკვალიფიციურ პერსონალთან ერთად, აუცილებელია სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობა და მუდმივი განახლება. საანგარიშო პერიოდში მოეწყო საველე სწავლების ბაზის ინფრასტრუქტურა, სადაც სისტემატურად მიმდინარეობს სამსახურის სპეციალური დანაყოფების თანამშრომელთა ტაქტიკური მომზადება/გადამზადება. ასევე, სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლებისა და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით, 2019 წელს დასრულდება ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა.

სამსახური მომავალშიც ინტენსიურად გააგრძელებს საკუთარი ინფრასტრუქტურული და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფას თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

2017 წლის საბიუჯეტო სახსრებით უსაფრთხოების სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის მიერ გაფორმდა 459 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით 24 111 447 ლარი. საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სამშენებლო–სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად სამშენებლო კომპანიებთან 1 690 785,37 ლარის ღირებულების 18 ხელშეკრულება იქნა გაფორმებული.

2017 წლის საბიუჯეტო სახსრებით გამოცხადებული იყო 305 ტენდერი, ჩატარებული ტენდერებიდან ხელშეკრულება გაფორმდა 247 პრეტენდენტთან. ელექტრონული ტენდერებითა და გამარტივებული ელექტრონული ტენდერებით გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით ეკონომიამ შეადგინა 1 233 003 ლარი.

ანალიტიკური საქმიანობა

სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში განსაკუთრებით ღირებულია აქტუალურ პროცესებზე ზუსტი ინფორმაციის ფლობა, ვითარების შეფასება, საფრთხეების ანალიზი და მოვლენების სწორი პროგნოზირება. შედეგზე

ორიენტირებული ანალიტიკური საქმიანობა იძლევა ადეკვატური მოქმედების სტრატეგიის შემუშავების შესაძლებლობას და განსაზღვრავს სამსახურის ეფექტიანობის ხარისხს.

სამსახურის საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი, უწყების შიგნით გაუმჯობესებული კოორდინაციის პირობებში, ახდენს ღია და ფარული წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის სისტემატიზაციას, დამუშავებას, ფაქტების შეფასებას, ქვეყნის უსაფრთხოების საერთო მდგომარეობის ანალიზს, ეროვნული უსაფრთხოების საკითხებზე სამსახურის ხელმძღვანელობის დროულ ინფორმირებას და შესაბამისი დოკუმენტებით უზრუნველყოფას.

ანალიტიკოსთა პროფესიულ განვითარებასა და კადრების კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა შეუქცევადი პროცესია, რაც მყარ საფუძველს უყრის უსაფრთხოების სამსახურის წარმატებულ მუშაობას ახლო და გრძელვადიან პერსპექტივაში. ანალიტიკოსები რეგულარულად გადიან სასწავლო კურსებს და ჩართულნი არიან სხვადასხვა სასწავლო პროგრამებში საერთაშორისო პარტნიორების დახმარებით. საინფორმაციო–ანალიტიკური გუნდის შესაძლებლობები კიდევ უფრო ფართოვდება ევროპულ და ამერიკულ უსაფრთხოების სექტორებში ანალიტიკური მუშაობის სპეციფიკის გაცნობისა და უცხოური გამოცდილების გაზიარებით. ამავე დროს, დიდი ყურადღება ეთმობა უწყების გარეთ არსებული ანალიტიკური რესურსების ათვისებას პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით.

უწყებათაშორისი და საერთაშორისო თანამშრომლობა

ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში მნიშვნელოვანია უწყებათშორისი და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გრძელვადიან მიზანს წარმოადგენს მსოფლიო უსაფრთხოების სისტემის ფორმირებაში საკუთარი წვლილის შეტანა, რაც სრულყოფილი უწყებათშორისი და მჭიდრო საერთაშორისო თანამშრომლობით მიიღწევა.

საანგარიშო პერიოდში, სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობდა სახელმწიფო უწყებებთან, მონაწილეობდა სხვადასხვა უწყებათშორისი საბჭოს, კომისიის და სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში. სამსახურის ექსპერტები აქტიურად არიან ჩართულები ტერორიზმის დაფინანსებისა და ფულის გათეთრების რისკების შეფასების დოკუმენტის შემუშავების მიზნით შექმნილი უწყებათშორისი სამუშაო ჯგუფის მუშაობაში. ერთობლივი საზღვაო ოპერაციების მართვის ცენტრში სამსახურმა განსაზღვრა მუდმივი წარმომადგენელი/ექსპერტი, რომელიც კომპეტენციის შესაბამისად, ჩართულია ცენტრის საქმიანობაში. სამსახურის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ თავდაცვისა და

უსაფრთხოების სფეროში გამართულ უწყებათშორის ერთობლივ წვრთნებსა და სასწავლო ღონისძიებებში.

სტრატეგიულ პარტნიორებთან, მეგობარ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. სამსახური აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო პარტნიორებთან ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში.

2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე საერთაშორისო პარტნიორებთან აქტიური თანამშრომლობით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სამართალდაცვით და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის სამართლებრივი ჩარჩოს გაძლიერების კუთხით. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინიციატივით, წლის განმავლობაში გაფორმდა 4 საერთაშორისო შეთანხმება, მათ შორის, „საქართველოს მთავრობასა და აშშ–ის მთავრობას შორის ტერორისტების შემოწმების ინფორმაციის გაცვლის შესახებ".

სამსახურის მხრიდან დამუშავდა/რეაგირება განხორციელდა სხვადასხვა სფეროში ინიცირებულ საერთაშორისო შეთანხმების 106 პროექტზე. აღნიშნულ პროექტებთან დაკავშირებით განხორციელდა სამართლებრივი ანალიზი და მათში სათანადოდ აისახა სამსახურის საქმიანობის მიმართულებები და უწყების ხედვა, მათ შორის, საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის/სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის შესახებ, ასევე მიგრაციის საკითხებზე, თავდაცვის სფეროსა და საერთაშორისო ორგანიზაციების ფორმატში თანამშრომლობის შესახებ და ა.შ.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურად თანამშრომლობს საქართველოში აკრედიტებულ სხვადასხვა ქვეყნის უსაფრთხოების ატაშეებთან და დიპლომატიურ წარმომადგენლებთან. თანამშრომლობის ხსენებული ეფექტური მექანიზმის გამოყენებით სისტემატურად მიმდინარეობს აღნიშნულ ქვეყნებთან ინფორმაციის გაცვლა და სხვადასხვა სასწავლო კურსებისა და სემინარების მათ მიერ ორგანიზება.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ამერიკის შეერთებულ შტატებთან პარტნიორულ ურთიერთობებსა და თანამშრომლობას. სამსახური აქტიურად თანამშრომლობს აშშ-ის საელჩოსთან სხვადასხვა ფორმატში და აშშ-ის გამოძიების ფედერალურ ბიუროსთან (FBI) უსაფრთხოებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში. ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში, განსაკუთრებით აღსანიშნავია აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს, სახელმწიფო დეპარტამენტის, ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს (INL), აშშ–ის თავდაცვის დეპარტამენტის თავდაცვის

საფრთხეების შემცირების სააგენტოს (DTRA), ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის უსაფრთხოების (EXBS), თავდაცვის თანამშრომლობის ოფისის (ODC), ასევე, სხვა პროგრამების მხარდაჭერა სამსახურის თანამშრომელთა პროფესიული შესაძლებლობების გაძლიერების კუთხით.

სამსახურის წარმომადგენლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს, აშშ-ში გამართულ, საქართველო-აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის კომისიის თავდაცვისა და უსაფრთხოების სამუშაო ჯგუფის მაღალი დონის შეხვედრაში.

კომპეტენციის შესაბამისად სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მონაწილეობდა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გლობალური სტრატეგიის ფარგლებში ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავების კუთხით განხორციელებულ ღონისძიებებში და ჩართული იყო საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობებში. სამსახური, კომპეტენციის შესაბამისად, მონაწილეობას იღებდა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციისა და სათანადო დოკუმენტების, მათ შორის, ევროკავშირთან ასოცირების ახალი დღის წესრიგის პროექტის შემუშავების პროცესში. სამსახურის წარმომადგენლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს საქართველო-ევროკავშირის სტრატეგიული დიალოგის პირველ შეხვედრაში.

ამასთან, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა უსაფრთხოებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საქართველოსა და ევროპოლს შორის თანამშრომლობის განმტკიცების კუთხით. დანაშაულთან ბრძოლის სფეროში გაფორმდა „საქართველოსა და ევროპის პოლიციის სამსახურს შორის ოპერატიული და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება“.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ჩართულია უსაფრთხოების სფეროში მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატებში. საანგარიშო პერიოდში, სამსახურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური კოალიციის ფარგლებში გამართულ აქტივობებში. ეფექტურად გამოიყენება ინტერპოლის შესაძლებლობები, ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით.

სამსახური ჩართულია ტერორიზმის პრევენციის შესახებ ევროსაბჭოს კონვენციის დამატებითი ოქმის საფუძველზე შექმნილი ეროვნული საკონტაქტო პირების 24/7 თანამშრომლობის ქსელში. სამსახურის ექსპერტები მონაწილეობდნენ ევროპის საბჭოს ტერორიზმთან ბრძოლის ექსპერტთა კომიტეტის (CODEXTER) ფარგლებში, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საერთაშორისო დოკუმენტების შემუშავების პროცესში.

სამსახური ჩართული იყო ეუთო-ს ფარგლებში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით ორგანიზებულ ღონისძიებებში.

სამსახური აქტიურად მონაწილეობდა ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) იმპლემენტაციის პროცესში და წლიური ეროვნული პროგრამის (ANP) ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებში.

გაერო-სთან თანამშრომლობის კუთხით, საანგარიშო პერიოდში, სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე რეგულარულად ხორციელდებოდა გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ გამოცემული რეზოლუციების, გენერალური მდივნის მიერ მიღებული და სხვა შესაბამისი დოკუმენტების შესწავლა/ანალიზი.